ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის ოქმი N1

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 15.01.2020 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, ეთერ ჭიჭინაძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: რამაზ არველაძე, ბიჭიკო პაიკიძე, მალხაზ ცერცვაძე, რობიზონ ფუტკარაძე, თენგიზ დვალიშვილი, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი-**კობა მაღლაკელიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-**ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში-**სალომე ფახურიძე.**

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია;**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 12 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ივანე მამფორია

2. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიში 2019 წლის პერიოდში საკრებულოს აპარატში არსებული მდგომარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: კობა მაღლაკელიძე

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე: 25

წინააღმდეგი: არცერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტში ცვლილების საჭიროება განპირობებულია საქართველოს მთავრობის N2751-31.12.2019, N2752-31.12.2019 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებისა და სახაზინო ანგარიშზე 01.01.2020 მდგომარეობით არსებული ნაშთების ბიუჯეტში ასახვით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 დეკემბრის N2630 განკარგულებაში ,,რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ 2019 წლის 31 დეკემბერს N2751 განკარგულებით განხორციელდა, რის შედეგადაც გამოყოფილი თანხა გაიზარდა 597,5 ათასი ლარით და ჩამოყალიბდა 3509,4 ათასი ლარის რედაქციით. თანხა გამოიყო ზედავანი-ტყელვანის გზის რეაბილიტაციის მიზნით.

2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტს გამოეყო 570,0 ათასი ლარი.

2020 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშებზე ნაშთის სახით ირიცხება 1324,2 ათასი ლარი, მ.შ:

ა) ,,ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N 554 განკარგულებით გამოყოფილი თანხა - 22,5 ათასი ლარი, მათ შორის : საგარანტიო უზრუნველყოფა - 4,2 ათასი ლარი; შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება - 15,1 ათასი ლარი, თავისუფალი ნაშთი - 3,2 ათასი ლარი.

ბ) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N 557 განკარგულებით ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი სამუშაოს თანხა - 92,0 ათასი ლარი.

გ) საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N 2577 განკარგულებით ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" გამოყოფილი თანხიდან საგარანტიო უზრუნველყოფის თანხა - 41,9 ათასი ლარი.

დ) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N 13 განკარგულებით საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, გამოყოფილი თანხა -281,7 ათასი ლარი. მათ შორის: საგარანტიო უზრუნველყოფის თანხა - 2,9 ათასი ლარი; შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება - 270,7 ათასი ლარი, ხოლო თავისუფალი ნაშთი - 8,1 ათასი ლარი.

ე) საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, გამოყოფილი თანხიდან გასაწევი მომსახურების ღირებულება - 28,7 ათასი ლარი.

ვ) ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N 45 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან შესასრულებელი სამუშაოს და გასაწევი მომსახურების ღირებულება 19,4 ათასი ლარი.

ზ) „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N 136 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 256,0 ათასი ლარი, მ.შ: საგარანტიო უზრუნველყოფის თანხა - 131,7 ათასი ლარი, თავისუფალი ნაშთი - 124,3 ათასი ლარი.

თ) საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის N 2367 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხიდან თავისუფალი ნაშთი - 0,3 ათასი ლარი.

ი) „სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის N 2712 განკარგულებით გამოყოფილი თანხა - 63,8 ათასი ლარი, მათ შორის: საგარანტიო უზრუნველყოფის თანხა - 40,5 ათასი ლარი; შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება - 6,7 ათასი ლარი, თავისუფალი ნაშთი - 16,6 ათასი ლარი.

კ) საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის 1409 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე გამოყოფილი თანხიდან - 11,0 ათასი ლარი, მათ შორის: საგარანტიო უზრუნველყოფის თანხა 1,3 ათასი ლარი, თავისუფალი ნაშთი 9,7 ათასი ლარი.

ჯამურად, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენს 817,2 ათას ლარს, საგარანტიო უზრუნველყოფა 222,6 ათას ლარს, მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაო / გასაწევი მომსახურება 432,5 ათას ლარს, თავისუფალი ნაშთი 162,1 ათას ლარს. თავისუფალი ნაშთებიდან 127,5 ათას ლარს მიიმართება ვანის ცენტრალური სტადიონის გარე პერიმეტრის რეაბილიტაციის მიზნით (საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების გამოცემის შემდგომ), სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 26,6 ათასი ლარი, ხოლო საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დარჩენილი ეკონომია გამოყენებული იქნება სკოლების რეაბილიტაციის სხვა პროექტების დასრულების შემდგომ გამოვლენილ ეკონომიასთან ერთად.

მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე საკუთარი სახსრებით ნაშთის სახით ირიცხება 506,9 ათასი ლარი, მათ შორის: საგარანტიო უზრუნველყოფის თანხა - 16,6 ათასი ლარი; შესასრულებელი სამუშაოს და გასაწევი მომსახურების ღირებულება - 111,1 ათასი ლარი, ხოლო თავისუფალი ნაშთი - 379,2 ათასი ლარი. თავისუფალი ნაშთი მიიმართება შემდეგ ღონისძიებებზე: ა) ქ. ვანში

თავისუფლების ქუჩა N62,64,66-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გარე კანალიზაციის რეაბილიტაცია 7,7 ათასი ლარი; ბ) ქ. ვანში თავისუფლების ქუჩა N63 და N65-ში მდებარე შენობების წინ სკვერების რეაბილიტაცია 120,0 ლარი; გ) სააკაძის ქუჩაზე ყოფილი აბანოს შენობის ტერიტორიიდან სამშენებლო ნარჩენების გატანა 8,0 ათასი ლარი; დ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მოწყობა 45,0 ათასი ლარი; ე) ქ. ვანში ჭავჭავაძის ქუჩის რეაბილიტაცია 30,0 ათასი ლარი. ვ) ძულუხის ადმინისტრაციულ ერთეულში გოგიბერიძეების უბანში ს/გზის რეაბილიტაცია 27,0 ათასი ლარი; ზ) 2020 წლისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების თანადაფინანსებისათვის 100,0 ათასი ლარი; თ) საავტომობილო გზების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება 13,5 ათასი ლარი; ი) საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ვიდეო სამეთვალყურეო კამერების შეძენა 10,0 ათასი ლარი; კ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით საგზაო ნიშნების შეძენა-მონტაჟი 8,0 ათასი ლარი; ლ) კულტურის ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრი 6,0 ათასი ლარი; მ) სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი 4,0 ათასი ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

(დადგენილება N1)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა კობა მაღლაკელიძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიში 2019 წლის პერიოდში საკრებულოს აპარატში არსებული მდგომარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ.

წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ, გამოთქმულა. მიღებულ იქნა ცნობის სახით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ანგარიში 2019 წლის პერიოდში საკრებულოს აპარატში არსებული მდგომარეობისა და გაწეული მუშაობის შესახებ.

(იხილეთ: დანართი N3)

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების

საკრებულოს სხდომაზე დასწრების ფურცელი

N	საკრებულოს წევრების სახელი და გვარი	ხელმოწერა	სხდომის ჩატარების თარიღი
1	ალექსანდრე ლილუაშვილი		15 იანვარი 2020 წელი
2	გიორგი ივანიაძე		
3	გელა ჩიკვაიძე		
4	ტარიელ ბარამიძე		
5.	რამაზ არველაძე		
6.	გიგა გოგიბერიძე		
7.	კობა ტოხვაძე		
8.	გელა ვარდოსანიძე		
9.	კობა ძაგნიძე		
10.	ეთერი ჭიჭინაძე		
11.	ვლადიმერ ჭვალაძე		
12.	დავით ხარძეიშვილი		
13.	თამთა დვალიშვილი		
14.	თამარ შენგელია		
15.	ბიჭიკო პაიკიძე		
16.	ალექსანდრე ოქროპილაშვილი		

17.	ოლეგი მიქელთაძე		15 იანვარი 2020 წელი
18.	გია ხარაბაძე		
19.	ივანე კორძაძე		
20.	მალხაზ ცერცვაძე		
21.	შალვა ლორთქიფანიძე		
22.	რობიზონ ფუტკარაძე		
23.	ამირან ტალახაძე		
24.	პაატა ხურციძე		
25.	ვარლამ გიორგაძე		
26.	თენგიზ დვალიშვილი		
27.	გელა ღვიტიძე		
28.	სანდრო ხურციძე		
29.	შოთა გიორგაძე		
30.	მერაბ ხურციძე		
31.	დავით ადეიშვილი		
32.	დავით კაკაბაძე		
33.	გია ოჩხიკიძე		
34.	აპოლონ რამიშვილი		
35.	თორნიკე ერისთავი		